



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 374

ქალაქი ქუთაისი 29 მარტი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და შესზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 12.01.2017 წლის №01-0465/LPG-1/17 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისათვის“ /ს/კ 404945164/, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ბარათაშვილის ქუჩა №101-ში მდებარე უძრავი ქონების (ფართი №1 – 1659.75 კვ.მ. და დამხმარე ნაგებობა 37.32 კვ.მ; მიწა თანასაკუთრება) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე /საკადასტრო კოდი №03.04.22.028/.

მუხლი 2. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამებისა და კერძო პროგრამების განსახორციელებლად.

მუხლი 3. ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვროს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) წლით.

მუხლი 4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ (ს/კ 404945164) მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში (გასხვისების, ლიკვიდაციისა და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია მოითხოვოს ბარათაშვილის ქუჩა N101-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 03.04.22.028) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნება.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურღულიამ უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

ნიკოლოზ ლატარია